საქართველოს ცენტრალური
კავშირგაბმულობის კორპორაცია

საქართველო, 383040 რუსთავი, მეგობრობის გამზ.2
ტელ: 824 17 00 00; ფაქსი: 824 17 00 01; ელ.ფოსტა: cgc@ gol.ge

CENTRAL GEORGIAN
COMMUNICATIONS Co.

2, MEGOBROBA AVE.,RUSTAVI,383040,GEORGIA
TEL.: +995 34 17 0000; FAX:+995 34 170001; E-MAIL: cgc@ gol.ge

19.09.2007

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბ-ნ ზ. ნონიკაშვილს

რეგ.: №2.3/641/6შლკ
საგანი: მოწვევის ოფერტა

ბატონო ზურაბ,

მოგაწვდით ჩვენს ოფერტას სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვანი რესურსების მომსახურების საცალო ტარიფების თაობაზე ავტორიზებული პირებისათვის და ამასთან გთხოვთ, განათავსოთ იგი თქვენს ვებ-გვერდზე (იხ. დანართი).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ნ. შარაშენიძე

ნ. შარაშენიძე

დანართი: ოთხი ფურცელი

მიღებულია №6/12540
"20" 09 2007
174

მოწვევის ოფერტა

სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-7 პუნქტით დადგენილი ვალდებულებების მიხედვით, ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, გთავაზობთ შემდეგ ინფორმაციას:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ა ქვეპუნქტი

კორპორაციის საკუთრებაში მყოფი სპილენძის სააბონენტო წყვილების რაოდენობა ძირითადი გამანაწილებელი სისტემის მისამართებისა და სასადგურო ნუმერაციის ინდექსების მიხედვით განისაზღვრება შემდეგნაირად:

№	სადგურის მისამართი	სასადგურო ნუმერაციის ინდექსები	სრული ტევადობა	დატვირთული		
				სატელეფონო	ფართოზოლოვანი	
					CGC-ის ქსელზე	გაერთ.სატელ. კომპანიის ქსელზე
1	ქ. რუსთ ვი; მეგობრობის გამზირი № 9 (ცენტრალური სადგური)	150000-154999 170000-172999 175000-179999 180000-180067 180068-180129 180130-180229 180230-181507	14 412	12 716	356	204
2	ქ. რუსთ ვი; მე-16 მ/რ მიმდებარე ტერიტორია (გატანილი სადგური №1)	173000-174999 158900-159999 183000-185755	5 856	5 800	219	0
3	ქ. რუსთ ვი; ბალანჩივაძის ქ. №2ა(გატანილი სადგური №2)	15000-158899	3 900	2 869	0	188
	სულ		24 168	21 385	575	392
					967	

2. კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ბ ქვეპუნქტი

სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილებთან სრულად დაშვების საცალო ტარიფი ავტორიზებული პირისათვის განისაზღვრა 15,15 ლარით თვეში დღგ-ს ჩათვლით.

დაშვების მსურველმა ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნა თვეების მიხედვით და გადახდა მოხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე, წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3. კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.გ ქვეპუნქტი

დაშვების განხორციელების პროცედურები სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვანი რესურსის გამოყოფაზე:

სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვანი რესურსის გამოყოფაზე განცხადების მიღებიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში მოხდება კონკრეტული აბონენტის სახაზო პარამეტრების გაზომვა, რის საფუძველზეც გაიცემა შესაბამისი პასუხი.

აბონენტის სახაზო პარამეტრები გაიზომება Alcatel 1000 S-12-ში არსებული ტესტირების სისტემით.

დამაკმაყოფილებელ სახაზო ტექნიკურ პარამეტრებად ჩაითვლება ქვემოთ მოცემულ მაგალითზე ნაჩვენები ტესტირების მსგავსი შედეგი.

ტესტირების მაგალითი:

	POT DC	POT AC
A-GND	**- 4,00 MVOLT**	**9,50 MVOLT**
B-GND	**- 3,00 MVOLT**	**11,50 MVOLT**
A-B	**- 59,50 MVOLT**	**26,00 MVOLT**
	RES	**CAP**
A-GND	**> 5,00 MOHM**	**15,39 NFAR**
B-GND	**> 5,00 MOHM**	**15,49 NFAR**
A-B	**1,64 MOHM**	**1,00 UFAR**

SUBSCRIBER LINE TEST
RESULT= TEST EXECUTION OK, ENVIRONMENT DIS-ESTABLISHED

სხვა სახაზო ტექნიკური პარამეტრების შემთხვევაში, კორპორაცია არ აგებს პასუხს ფართოზოლოვანი კავშირის ხარისხზე.

4. კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.დ ქვეპუნქტი

ვინაიდან კორპორაციას არ განუხორციელებია სააბონენტო წყვილების მომსახურებაზე გაწეული წლიური დანახარჯების აღრიცხვა, ამ ეტაპზე აღნიშნულ მონაცემებს ვერ ვაქვეყნებთ.

5. კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ე (ა.კ) ქვეპუნქტი

წყვილების ფართოზოლოვან რესურსებთან დაშვების ხელშეკრულების გაფორმების ვადა განისაზღვრება მოწვევის ოფერტაზე მსურველი პირის მიერ აქცეპტის წარმოდგენის თარიღიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღისა.

6. კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ვ ქვეპუნქტი

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ ქონების უმეტესი ნაწილი განთავსებულია სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისგან“ ნაქირავებ ფართებზე. აღნიშნული ფართების დაკავება მოხდა მაშინ, როცა არ იყო გათვალიწინებული თანალოკაციის ფართის გამოყოფის ვალდებულება, რის გამოც კორპორაციის მიერ ნაქირავები იქნა მხოლოდ ის აუცილებელი ფართები, რაც საჭირო იყო კორპორაციის ტექნიკური საშუალებების გამართული ფუნქციონირებისთვის, როგორიცაა: კროსი, საკომუტაციო სადგური, საგენერატორო, სააკუმულატორო და საოპერატორო დარბაზები და სადაც, შეუძლებელია თანალოკაციის ფართის გამოყოფა „საქ. ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ მიერ. შესაბამისად, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“ არ გააჩნია თანალოკაციის თავისუფალი ფართი. ამასთან, მოგახსენებთ, რომ დაშვების მსურველ ოპერატორს შეუძლია მიმართოს იმ შენობის მესაკუთრეს, სადაც განთავსებულია მათი კუთვნილი აპარატურა და ითხოვოს მათთვის მისაღები ფორმით ფართის გადაცემა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.

რაც შეეხება კაბელის შეყვანას კროსებში, ყოველ კონკრეტულ ობიექტზე, დაშვების მსურველმა ოპერატორმა უნდა მოგვმართოს წერილობითი განცხადებით, რომელიც განხილულ იქნება 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში და დადებითი პასუხის შემთხვევაში, ოპერატორის მიერ საჭირო კაბელის და კროსის შესაბამისის მარკის ჩარჩოს გადმოცემის შემდეგ, მოხდება აღნიშნული მოწყობილობის მიერთება 10 (ათი) სამუშაო დღეში, შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე.

7. კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ზ ქვეპუნქტი

ვინაიდან შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“ იჯარით აქვს აღებული ფართები სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიისგან“, ფორმდება სამმხრივი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

8. კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.თ (ა.კ) ქვეპუნქტი

დამატებითი სიმძლავრეები (კროსში კაბელის შეყვანა) განხორციელებულ იქნება 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მას შემდეგ, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ოპერატორი მოგვმართავს წერილობით. განაცხადი განხილულ იქნება 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში და მასზე გაიცემა შესაბამისი პასუხი მიზეზის მითითებით (იმის შესაბამისად, თუ ვის ტერიტორიაზე იქნება განთავსებული შესაბამისი წყვილები და ასეთის არსებობის შემთხვევაში გაერთიანებული ტელეკომის ტერიტორიაზე, მისივე პასუხის შესაბამისად).

9. კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ი ქვეპუნქტი

ფორსმაჟორულ და ექსტრაორდინალურ პირობებში დაშვების მსურველი ოპერატორის მხრიდან გამოწვეული ზარალის ანაზღაურება მოხდება მის მიერ სრულად.

10. კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.კ ქვეპუნქტი

მოცემულ ქვეპუნქტში აღნიშნული პროცედურები განხილულია ოფერტის მე-5 და მე-8 პუნქტებში და დამატებითი პროცედურების განხილვა მოხდება მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე.

11. კომისიის №400/9 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ლ ქვეპუნქტი

მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა განისაზღვროს 6 (ექვსი) თვით.

შპს „საქართველოს ცენტრალური
კავშირგაბმულობის კორპორაციის“
გენერალური დირექტორი ნ. შარაშენიძე